

პრესრელიზი

2018 წლის 11 სექტემბრიდან ლევან ვეფხვაძე „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკულ კორპორაციას“ (GIEC) უხელმძღვანელებს

კომპანია „საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფში„ (GIG) საკადრო ცვლილებები განხორციელდა. ლევან ვეფხვაძე, ჯგუფის ერთერთ შვილობილ კომპანიას უხელმძღვანელებს.

2018 წლის 11 სექტემბრიდან ლევან ვეფხვაძე „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაციის“ (GIEC) გენერალური დირექტორის პოზიციზე დაინიშნა, რომელიც მანამდე GIG-ის გენერალური დირექტორის მრჩეველი იყო.

ლევან ვეფხვაძე კომპანიაში 2016 წლიდან მუშაობს და დირექტორთა საბჭოს წევრია. 2016 წლის 18 ოქტომბრიდან იგი დაინიშნა სტრატეგიულ საკითხებში კომპანიის გენერალური დირექტორის მრჩეველის პოზიციაზე. მას განათლება მიღებული აქვს დიდი ბრიტანეთის ქ. გლაზგოს სტრატკლaidის უნივერსიტეტში, სადაც წარმატებით დაასრულა სამაგისტრო კურსები გლობალური ენერჯო-მენეჯმენტისა და რაოდენობრივი ფინანსების პროგრამით.

ლევან ვეფხვაძეს გააჩნია მრავალწლიანი გამოცდილება მენეჯერულ პოზიციებზე როგორც კერძო, ასევე, საჯარო სექტორში.

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

